ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01182713517**
თარიღი: **28/09/2018**
პინი: **5308**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 19 სექტემბრის #60-01182623475 წერილი (AR1616396) და თანდართული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ ალექსანდრე დიღმელაშვილის მომართვის საფუძველზე, შპს ,,ისანის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ქ. თბილისი, სტეფანე ჭრელაშვილის ქუჩა #1 ს.კ. #01.17.13.051.011) მრავალფუნქციური კომპლექსის განთავსების მიზნით სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების ეტაპზე, კომპეტენციის ფარგლებში, სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად (ტოპო. გეგმა შენობის განთავსების სქემით და მწვანე ნარგავების დატანით, საექსპერტო დასკვნა, ფოტოსურათები) ტერიტორიაზე არსებული ხე-მცენარეების საერთო რაოდენობა შეადგენს 41 ძირს. პროექტის განხორციელება ითვალისწინებს 22 ძირი ხე-მცენარის ადგილმონაცვლეობას.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი“-ს (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს წერილობითი ნებართვის გაცემას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას. გამომდინარე იქიდან, რომ სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას ხელს უშლის 20 (ოცი) ძირი ხილ-კენკროვანი ხე (6 ტყემალი, 2 ალუბალი, 2 ვაშლი, 2 ბალი, 2 ბროწეული, 1 კარალიოკი, 1 მსხალი, 2 ლეღვი, 1 ბალი, 1 ჭერამი), რომელთაგან 13 ძირის დიამეტრი აღემატება 12სმ-ს, ხოლო 7 ძირის დიამეტრი 12სმ-ზე ნაკლებია, მათი მოჭრა/გადარგვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ ნებართვას არ საჭიროებს.

რაც შეეხება 1 (ერთი) ძირი #6 თუთის (დიამეტრი 24 სმ) და 1 (ერთი) ძირი #ტუიას (დიამეტრი 16 სმ) გადარგვის საკითხს, რომლებიც ექსპერტის რეკომენდაციის თანახმად ექვემდებარება გადარგვას, დადგენილების 21-მუხლის საფუძველზე სამსახური გასცემს მათი იმავე საკადასტრო ერთეულში გადარგვის ნებართვას, რისთვისაც განმცხადებელმა უნდა მომართოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს მშენებლობის ნებართვის მიღების შემდეგ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სამსახური გასცემს დადებით რეკომენდაციას მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებასთან დაკავშირებით.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური-პირველადი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი



საბანგებო სიტუაციების მართვის სამსახური

EMERGENCY MANAGEMENT SERVICE

ES 6 18 00056996

21/08/2018

პასუხი მოქალაქე თეონა ახალაშვილის წერილზე

სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის
III-IV კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილების
პირვლადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
თეონა ახალაშვილს

ქალბატონო თეონა,

თქვენი მიმდინარე წლის 6 აგვისტოს N60-01182182683 (სააგენტოში რეგისტრაციის თარიღი 06.08.2018; N53870) წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ1" ქვეპუნქტის მოთხოვნების შესაბამისად, სამსახურის სპეციალისტების მიერ განხილული იქნა, ქალაქ თბილისში, სტეფანე ჭრელაშვილის ქ.N1-ში არსებული მიწის ნაკვეთის, (ს/კ 01.17.13.051.011) მრავალფუნქციური კომპლექსისათვის (საოფისე, კომერციული (სამი ბლოკი)) სამშენებლოდ გამოყენების პირობების შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, სამშენებლო ნორმების და წესების, ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტებით დადგენილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისობის ნაწილში.

მშენებლობის სანებართვო პირობების პირველი სტადიის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენისათვის განხილვას დაექვემდებარა სახანძრო ტექნიკისთვის განკუთვნილი მისასვლელების და გასასვლელების მოწყობის, მომიჯნავე შენობა-ნაგებობებს შორის გასათვალისწინებელი ხანძარსაწინაარმდეგო მანძილების და გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების მოწყობის საკითხები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნების დაცვა:

1. ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები დასაპროექტებელ შენობებსა და სხვა მომიჯნავე შენობა-ნაგებობებს (სამრეწველო ფუნქციური დანიშნულების შენობა-ნაგებობებისათვის მათი აფეთქებახანძარსაშიში და ხანძარსაშიში კატეგორიების გათვალისწინებით) შორის უნდა განისაზღვროს SP4.13130.2013-ის პ.4.3-4.14 და სხვა სამშენებლო ნორმების და წესების

მოთხოვნების გათვალისწინებით, რომლებიც ადგენენ ამ მანძილებს. აღნიშნულიდან გამომდინარე დასაპროექტებელი შენობების გენერალური გეგმები ზემოთ მითითებული ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების ჩვენებით წარმოდგენილი იქნეს განსახილველად;

2. შენობებში ხანძრის ჩაქრობისათვის SP 8.13130.2009-ის ცხრილი 2 და მე-8 თავის მოთხოვნების გათვალისწინებით უზრუნველყოფილი უნდა იქნეს გარე ხანძარსაწინააღმდეგო რგოლური წყალგაყვანილობის არანა-კლებ 100 მმ ქსელის მოწყობა და ქსელზე „თბილისის“ ტიპის სახანძრო ჰიდრანტების მონტაჟი;

3. SP42.13330.2016-ით და SP4.13130.2013-ით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, გათვალისწინებული იქნეს შენობების მთელ სიგრძეზე სახანძრო ავტომობილებისათვის მისასვლელი გზების მოწყობა. შენობის გზის საფარის კონსტრუქცია გათვლილი უნდა იქნეს სახანძრო ავტომობილების დატვირთვაზე. ამ ზონაში დაუშვებელია შემოღობვის მოწყობა, ელექტროგადამცემი საჰაერო ხაზების გაყვანა და მწვანე ნარგავების რიგში დარგვა.

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების შესახებ შესაბამისი დასკვნის მომზდებისათვის აუცილებელია მშენებლობის სანებართვო პროცესის I სტადიის მოთხოვნებიდან გამომდინარე, განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებების შეტანა სამშენებლო დოკუმენტაციაში და წარმოდგენილი იქნეს განსახილველად, ხოლო სახანძრო უსაფრთხოების ის ღონისძიებები, რომლებსაც მოიცავს არქიტექტურული პროექტის მომზადება გათვალისწინებული იქნეს მშენებლობის ნებართვის გაცემის მეორე სტადიის დროს.

პატივისცემით,

საგანგებო სიტუაციების სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი **შალვა ხუციშვილი**

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
შალვა ხუციშვილი



თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

